ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის N1 ოქმი

ქ.თბილისი **18.02.2015**

სხდომა დაიწყო: 10:00 სთ-ზე სხდომა დასრულდა: 12:00 სთ-ზე

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით განსაზღვრული „2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების“ კომისიის პირველი სხდომა ჩატარდა 2015 წლის 18 თებერვალს ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდ“-ში, შემდეგ იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N 48.

სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის - მერაბ ფოლადაშვილის ინიციატივით, სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდნენ 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის მიერ N02-40 ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის შემადგენლობის შემდეგი წევრები:

1. კომისიის თავმჯდომარე - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **მერაბ ფოლადაშვილი;**
2. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის სამსახურის უფროსი - **ნინო კორძახია;**
3. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი - **დავით ძაძამია;**
4. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის მრჩეველი - **არჩილ ბარბაქაძე;**
5. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს არქიტექტორი - **ნინო ნოზაძე;**

1.

2.

3.

4.

5.

6.

7.

8.

9.

6. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზურნველყოფის სამსახურის საინჟინრო შეფასებების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი- **გიორგი მაღრაძე;**
7. აპარატის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის შესყიდვების მთავარი სპეციალისტი - **გვანცა ბერუჩაშვილი;**
8. აპარატის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის შესყიდვების მთავარი სპეციალისტი - **გურამ სოფრომაძე;**
9. აპარატის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის საინჟინრო შეფასებების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი - **კობა მირცხულავა;**
10. აპარატის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი -**სალომე სირბილაძე;**
11. აპარატის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს იურისტი **სალომე სართანია.**

კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს წესდების მოთხოვნათა სრული დაცვით, რასთან დაკავშირებითაც კომისიის არცერთ წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

კომისიის სხდომა გახსნა და ხელმძღვანელობდა ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე - **მერაბ ფოლადაშვილი.**

სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება ეთხოვა ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს იურისტს - **სალომე სართანიას.**

დღის წესრიგი:

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ ფოლადაშვილმა კომისიაზე დასვა საკითხი განეხილათ დანართი N1-ით წარმოდგენილი დავით აღმაშენებლის N184-ში მდებარე სახლის რეაბილიტაციის პროექტისა და დანართი N2-ით წარმოდგენილი დავით აღმაშენებლის N36 და N34-ში მდებარე სახლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ ფოლადაშვილმა აცნობა კომისიას, რომ დავით აღმაშენებლის N184-ში მდებარე სახლის რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას წარმოადგენს 45 000 (ორმოცდა ხუთი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, ხოლო დავით აღმაშენებლის N 36 და N34-ში მდებარე სახლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის

პროექტის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას წარმოადგენს 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

აპარატის წევრმა - გვანცა ბერუჩაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროექტების შესყიდვა უნდა განხორციელდეს საკონკურსო წესით. გვანცა ბერუჩაშვილმა ასევე შესთავაზა კომისიას, დავით აღმაშენებლის N184-ში მდებარე სახლის რეაბილიტაციის პროექტისა და დავით აღმაშენებლის N 36 და N34-ში მდებარე სახლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტის საკონკურსო წინადადებების შეფასების კრიტერიუმებად განისაზღვროს შემდეგი:

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდეს 10-ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
1.კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად წარმოდგენილი
სადემონსტრაციო მასალა: კოეფიციენტი – 0,4
2. გამოცდილება: კოეფიციენტი -0,3
3. საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი –0,3
კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრები ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას მიანიჭებენ. საკონკურსო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

კომისიის თავმჯდომარემ, შესთავაზა კომისიას: 1) საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ვადად ორივე პროექტზე განისაზღვროს 2015 წლის 05 მარტი 18:00 საათი; 2) კონკურსის ჩატარების დროდ დავით აღმაშენებლის N 184-ში მდებარე სახლის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით განისაზღვროს 2015 წლის 06 მარტი, 15:00 საათი; 3) კონკურსის ჩატარების დროდ დავით აღმაშენებლის N36 და N34-ში მდებარე სახლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით განისაზღვროს 2015 წლის 06 მარტი 17:00 საათი; 4) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა ორივე პროექტზე: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 4 თვისა (ექსპერტიზის ჩათვლით). ზემოაღნიშნულ შემოთავაზებებთან დაკავშირებით კომისიისა და აპარატის არცერთ წევრს შენიშვნა არ გამოუთქვამს.

საკონკურსო კომისიისა და აპარატის წევრებმა ერთხმად მოიწონეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღეს გადაწყვეტილება: დამტკიცდეს დანართი N1 და დანართი N2-ით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია და საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს "სახელმწიფო შეყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10² მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ისა და

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3-ის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში კონკურსის გამოცხადება.

ხელმოწერები:

კომისიის თავმჯდომარე - **მერაბ ფოლადაშვილი;**

კომისიის წევრი - **ნინო კორძახია;**

კომისიის წევრი - **დავით ძაძამია;**

კომისიის წევრი - **არჩილ ბარბაქაძე;**

კომისიის წევრი - **ნინო ნოზაძე;**

კომისიის წევრი - **გიორგი მაღრაძე;**

აპარატის წევრი - **გვანცა ბერუჩაშვილი;**

აპარატის წევრი - **გურამ სოფრომაძე;**

აპარატის წევრი - **კობა მირცხულავა;**

აპარატის წევრი - **სალომე სირბილაძე;**

აპარატის წევრი - **სალომე სართანია.**